საქართველოს პარლამენტი

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

კანონპროექტის დასახელება

პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი და აკაკი მინაშვილი

კანონპროექტის ინიციატორი

12.12.2011წ.

შემოსვლის თარიღი

I მოსმენა

პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი და აკაკი მინაშვილი

კანონპროექტის ავტორი

9

უწყებები, რომლებთანაც წინასწარაა შეთანხმებული კანონპროექტი

1. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი.
2. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი.
3. აგრარულ საკითხთა კომიტეტი
4. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი.
5. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი.
6. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი.
7. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი.
8. იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.
9. რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და
. მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტი.
10. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი.
11. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი.
12. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.
13. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი.
14. დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი.
15. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.

პარლამენტის კომიტეტები, რომლებსაც გადაეცათ კანონპროექტი განსახილველად

20 დეკემბერი

პლენარულ სხდომაზე განხილვის თარიღი

იხილეთ იურიდიული დეპარტამენტის დასკვნა

პავლე კუბლაშვილი

მომხსენებელი

კახაბერ ანჯაფარიძე
ლაშა თორდია
ბურაბ მელექიშვილი
გია ხუროშვილი

თანამომხსენებელი

ქეთევან გიგილაშვილი

კანონპროექტზე კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი პირი

იურიდიული დეპარტამენტის დასკვნა

შენიშვნები

შენიშვნები

საქართველოს პარლამენტი

თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8
ტელ: (995 32) 28 17 05
ელ. ფოსტა: legalcmt@parliament.ge

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

№ 9217
19 12 2011წ.

საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს
ქ-ნ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 19.12.2011წ. საკომიტეტო მოსმენაზე პირველი მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების პავლე კუბლაშვილის, ჩიორა თაქთაქიშვილისა და აკაკი მინაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი ორგანული კანონის პროექტი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ ორგანული კანონის პროექტს გავლილი აქვს რეგლამენტით დადგენილი ყველა პროცედურა და მზად არის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განსახილველად გასატანად.

გიზავნით ორგანული კანონის პროექტის ტექსტს, შენიშვნების ფურცელს და დასკვნას.

პატივისცემით,

პავლე კუბლაშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8
ტელ: (995 32) 28 17 05
ელ. ფოსტა: legalcmt@parliament.ge

№ 9217
19 12 2011 წ.

საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს
ქ-ნ ეთერ სვიანაიძეს

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის

დასკვნა

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ოგრანული კანონის პროექტზე

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 19.12.2011წ. საკომიტეტო მოსმენაზე პირველი მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების პავლე კუბლაშვილის, ჩიორა თაქთაქიშვილისა და აკაკი მინაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი ორგანული კანონის პროექტი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და გაცნობებთ, რომ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით კომიტეტი მხარს უჭერს წარმოდგენილი ორგანული კანონის პროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განსახილველად გატანას.

პატივისცემით,

პავლე კუბლაშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე

პროექტი

საქართველოს ორგანული კანონი
„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 მუხლი:

„5^1. პარტიას ეკრძალება - კანდიდატის, წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ან არამატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (გარდა პარტიის კამპანიის აქსესუარებისა - მაისურები, კეპები, ქუდები, დროშები და სხვა მსგავსი ნივთები), შეღავათიან ფასად საქონლის ან მომსახურების მიყიდვა ან მიწოდება, საბაზრო ფასზე მეტად საქონლის ან მომსახურების შესყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა) მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების, მატერიალურ ან არამეტირიალურ ფასეულობათა, აგრეთვე მომსახურების (მათ შორის ფიქტიური შრომითი ან სხვაგვარი ურთიერთობების დამყარების), მიწოდებით ან ასეთის დაპირებით (გარდა დაპირებისა, რომელიც უკავშირდება საბიუჯეტო რესურსების სამომავლო განაწილებას).“.

2. მე-3 თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით -

„პარტიის ქონება, ფინანსები და ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი“;

3. 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25.

1. პარტიის ქონებას ქმნის:

ა) საწევრო შენატანები;

ბ) შემოწირულობები;

გ) კანონით დადგენილ შემთხვევებში - სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები;

დ) პარტიის სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, პარტიის მიერ ლექციების, გამოფენებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული თანხები, რომლებიც არ ცვლის პარტიის, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის, ხასიათს.

ე) საჯარო ღონისძიებების მეშვეობით მიღებული შემოწირულებები.

2. შემოწირულობებად ითვლება პარტიის ანგარიშზე მოქალაქეების მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრები, აგრეთვე უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/შეღავათიანი პირობებით მიღებული ყველა სახის მატ ერიალური ფ ასეულობა და მ ომსახურება (გარდა მო ხალისეთა მიერ გაწეული ნებაყოფლობითი სამუშაოებისა), შეღავათიან პირობებში აღებული კრედიტი.

3. პარტიას უფლება არ აქვს აიღოს სესხი/კრედიტი რომელიმე ფიზიკური, ან იურიდიული პირისაგან, გარდა კომერციული ბანკისა. კომერციულ ბანკის მიერ წლის განმავლობაში პოლიტიკური პარტიებისთვის გაცემული კრედიტის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100000 ლარს.";

4. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 25[1] მუხლი:

„მუხლი 25[1].

1. პარტიის მიერ არჩევნებამდე ერთი წლის განმავლობაში მიღებული სახელმწიფო დაფინანსება, შემოწირულობებისა და სხვა კანონით დაშვებული ფორმით მიღებული შემოსავლის ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.2 %-ს, ხოლო ხარჯის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.2%-ს.

2. პარტია ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ზღვარს გადაჭარბებით მიღებული თანხები გადარიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

3. პარტიის საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ოდენობის 10%-ს".

5. 26-ე მუხლის:

ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა[1]" ქვეპუნქტი:

„ა[1]) იურიდიული პირებისაგან, მათი გაერთიანებებისა ან სხვა ტიპის ორგანიზაციული წარმონაქმნებისაგან";

ბ) პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სახელმწიფო ორგანოსაგან, სახელმწიფო ორგანიზაციისაგან, საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საზოგადოებიდან, გარდა ამ კანონით დადგენილი შემთხვევებისა";

გ) მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შემოწირულობის შემტანმა პირმა უნდა მიუთითოს სახელი, გვარი, მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) და პირადი ნომრები".

დ) მე-6 პუნქტში სიტყვები „ცენტრალური საარჩევნო კომისია" შეიცვალოს სიტყვებით „კონტროლის პალატა".

6. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 26[1] მუხლი

„მუხლი 26[1]

1. ამ თავით პოლიტიკური პარტიისთვის დადგენილი შეზღუდვები ასევე ვრცელდება:

ა) იურიდიულ პირზე, თუ ის პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული პოლიტიკურ პარტიასთან, სხვაგვარად იმყოფება პოლიტიკური პარტიის კონტროლის ქვეშ ან გააჩნია გაცხადებული პოლიტიკური მიზნები და ამოცანები;

ბ) პირზე, რომელიც წარმომადგენლის, ან სხვა პირის მეშვეობით მოუწოდებს ამომრჩეველს რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისაგან თავის შეკავების თაობაზე;

გ) პირი, რომელსაც აქვს განცხადებული პოლიტიკური მიზნები და ამოცანები, ასევე მისი ოჯახის წევრები, აგრეთვე მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირი.

2. იურიდიული პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული პოლიტიკურ პარტიასთან, როცა მისი ხარჯები პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული პოლიტიკური პარტიის საქმიანობასა და მიზნებთან.

7. 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 27.

1. პარტიის მი ერ მიღ ებული ფ ინანსური და მ ატერიალური შემოწირულებების მოცულობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს თითოეული მოქალაქისგან. საწევროს წლიური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1200 ლარს პარტიის თითოეული წევრისაგან.

2. შემომწირველი არ შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომლის წლიური შემოსავლების 15-% მეტს წარმოადგენს მის, ან მისი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს სასარგებლოდ განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები.

3. მოქალაქემ შემოწირულობა შეიძლება გააკეთოს წლის განმავლობაში რამდენიმე პარტიის სასარგებლოდ, მაგრამ შემოწირულობათა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას - 60 000 ლარს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები ვრცელდება ყველა სახის შემოწირულებაზე, მათ შორის, პარტიის მიზნებისათვის და მისი სახელით გაწეულ მომსახურებაზე

5. პარტიის მიერ საწევროები, აგრეთვე მოქალაქეებისგან შემოწირულებების სახით ფულადი სახსრები მიიღება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით.

6. შემოწირულობის განხორციელება სხვა პირთა მეშვეობით, კანონით დადგენილი შეზღუდვების გვერდის ავლის მიზნით, გამოიწვევს შემოწირულობის მიმართვას სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო სამართალდამრღვევ პირებს დაეკისრებათ კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

8. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 27[1] მუხლი:

„მუხლი 27[1]

1. შემოწირულობის შესახებ ინფორმაცია პარტიამ 3 დღის ვადაში უნდა წარუდგინოს საქართველოს კონტროლის პალატას, რომელიც უზრუნველყოფს მის საჯაროობას.

2. თუ შემოწირულობის მიღებით ირღვევა ამ კანონით გათვალისწინებულ რეგულირებები, პარტიის უფლებამოსილი პირი ვალდებულია 3 დღის ვადაში აცნობოს შემომწირველს ამის შესახებ და დაუბრუნოს აღნიშნული თანხა. თუ თანხის დაბრუნება არ მოხდება ჩარიცხვიდან 7 დღის ვადაში, თანხა უნდა გადაირიცხოს ბიუჯეტში, როგორც უკანონოდ მიღებული შემოწირულობა.

3. პარტიის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ შესაბამისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.“;

9. 30-ე მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. პარტია საბიუჯეტო დაფინანსებას მიიღებს მხო ლოდ წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს საქართველოს კონტროლის პალატას ყოველწლიურად, არა უგვიანეს 25 ნოემბრისა. თუ პარტიამ კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინა წერილობითი თანხმობა მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების თაობაზე, ამ ვადის გასვლიდან მეორე დღეს საქართველოს კონტროლის პალატა წერილობით აცნობებს პარტიას ამის შესახებ. პარტიას უფლება აქვს საქართველოს კონტროლის პალატა წერილობითი გაფრთხილების მიღებიდან 3 დღის ვადაში წარადგინოს შესაბამისი თანხმობა. თუ პარტიამ საქართველოს კონტროლის პალატის მიერ დადგენილ ვადაში კვლავ არ წარადგინა შესაბამისი თანხმობა, იგი კარგავს მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების უფლებას, რის შესახებაც მას წერილობით აცნობებს საქართველოს კონტროლის პალატა. საქართველოს კონტროლის პალატა ვალდებულია პარტიის მიერ საბიუჯეტო დაფინანსების მიღების უფლების დაკარგვიდან 5 დღეში აღნიშნული თანხა დააბრუნოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.“;

10. 32-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით:

„მუხლი 32.

1. პარტია ყოველი წლის 1 თებერვლამდე საქართველოს კონტროლის პალატას უგზავნის გასული წლის საფინანსო დეკლარაციას აუდიტორის (აუდიტური ფირმის) დასკვნასთან ერთად. პარტიის იურიდიული მისამართის შესაბამისად, ადგილობრივ საგადასახადო ორგანოში იგზავნება დეკლარაციისა და აუდიტორის (აუდიტური ფირმის) დასკვნის ასლები. დეკლარაციაში აისახება პარტიის წლიური შემოსავალი (საწევრო შენატანების და შემოწირულობების ოდენობა, საწევრო შენატანების განმახორციელებელ მოქალაქეთა ვინაობა, მონაცემები შემოწირულობის განმახორციელებელი მოქალაქეების თაობაზე, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი, აგრეთვე საგამომცემლო და პარტიის მიერ სხვადასხვა ღონისძიების მოწყობით მიღებული თანხები) და გასავალი (არჩევნებზე, სხვადასხვა ღონისძიების დაფინანსებაზე, შრომის ანაზღაურებაზე, მივლინებაზე და სხვა გაწეული ხარჯები), აგრეთვე ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში (კუთვნილი შენობა-ნაგებობების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და სახეობა, მათი საერთო ღირებულება, საბანკო დაწესებულებებში რიცხული თანხების ოდენობა).

2. არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების შემოსავალ-გასავალი დეკლარაციაში ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები.

3. არჩევნების დროს პარტიის საარჩევნო ბლოკში გაერთიანების შემთხვევაში პარტიის მიერ მიღებულ და გამოყენებულ სახსრებად ითვლება პარტიის საარჩევნო ბლოკში გაერთიანებამდე მიღებულ და გამოყენებულ თანხებს დამატებული საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული და გამოყენებული შემოწირულობების იმდენჯერ ნაკლები თანხა, რამდენი პარტიაც იყო გაერთიანებული საარჩევნო ბლოკში.

4. კონტროლის პალატა ვალდებულია პარტიის საფინანსო დეკლარაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს, აგრეთვე უზრუნველყოს აღნიშნული დეკლარაციის შესაბამის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. პარტია ვალდებულია თავის საფინანსო დეკლარაციაში ასახოს მასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული, ან სხვაგვარად მის კონტროლს ქვეშ მყოფი იურიდიული პირების ხარჯები.

6. პარტიის წლიური საფინანსო დეკლარაციის ფორმას და აუდიტის სტანდარტებს ადგენს საქართველოს კონტროლის პალატა.

7. პარტია ვალდებულია შეინახოს საფინანსო დეკლარაცია და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი 6 წლის განმავლობაში, ასევე დაიცვას საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებები, რომელიც დაკავშირებულია საგადასახადო დოკუმენტების წარმოებასა და შენახვასთან.“;

11. **33-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 33.

1. პარტია ვალდებულია ყოველწლიურად განახორციელოს თავისი საქმიანობის ფინანსური აუდიტი.

2. ფინანსური აუდიტის განხორციელების მიზნით პარტია უფლებამოსილია მიმართოს ნებისმიერ დამოუკიდებელ ა უდიტორს, რომელიც აკმაყო ფილებს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

3. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა პარტიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ უნდა წარედგინოს საქართველოს კონტროლის პალატას.“;

12. **კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 33¹ მუხლი:**

„მუხლი 33¹.

ბათილია გარიგება, რომელიც მიზნად ისახავს ამ თავით დადგენილი წესებისა და შეზღუდვების თავის არიდებას. ამგვარი გარიგების საფუძველზე გაცემული და მიღებული ქონება მიემართება სახელმწიფოს საკუთრებაში.“

13. **34-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 34.

თუ პარტია დროულად არ წარუდგენს საქართველოს კონტროლის პალატას საფინანსო დეკლარაციას, კონტროლის პალატამ უნდა გააფრთხილოს წერილობით და მოსთხოვოს ხარვეზის აღმოფხვრა 5 დღის განმავლობაში. თუ პარტია 5 დღის გასვლის შემდეგაც არ წარუდგენს საფინანსო დეკლარაციას საქართველოს კონტროლის პალატას, იგი კარგავს ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო დაფინანსების უფლებას მომდევნო ერთი წლის განმავლობაში.“;

14. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 34[1]-34[2] მუხლები:

„მუხლი 34[1]

პოლიტიკური პარტიის ფინანსური საქმიანობის კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა.

საქართველოს კონტროლის პალატა უფლებამოსილია:

ა) შეიმუშავოს საფინანსო დეკლარაციის ფორმა;

ბ) განსაზღვროს პარტიათა დაფინანსების აუდიტის შესაბამისი სტანდარტი;

გ) შეამოწმოს საფინანსო დეკლარაციისა და საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის სისრულე, სისწორე და კანონიერება, აღნიშნული მიზნებით ჩაატაროს საფინანსო ექსპერტიზა;

დ) უზრუნველყოს პარტიათა დაფინანსების გამჭვირვალობა;

ე)კონსულტაცია გაუწიოს პარტიათა დაფინანსების საკითხებზე დაინტერესებულ პირებს;

ვ) საჭიროების შემთხვევაში პარტიებიდან, ადმინისტრაციული ორგანოებიდან და კომერციული ბანკებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია პარტიის ფინანსებთან დაკავშირებით;

ზ) საჭიროების შემთხვევაში პირებისგან მოითხოვოს ინფორმაცია მათ მიერ პოლიტიკური პარტიებისთვის და 26[1] მუხლით განსაზღვრული პირებისთვის გაცემული ან მათგან მიღებული ქონების წარმომავლობის შესახებ;

თ) პარტიათა დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევაზე მოახდინოს რეაგირება, მიმართოს სასამართლოს და გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული სანქციები;

ი) დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში მიმართოს პროკურატურის ორგანოებს.

3. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ირღვევა ამ კანონის მოთხოვნები, სახელმწიფო ორგანოები ამის თაობაზე ინფორმაციას აწვდიან საქართველოს კონტროლის პალატას.

„მუხლი 34[2].

1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული შემოწირულობის მიღება ან დამალვა -

გამოიწვევს აკრძალული ფინანსური შემოწირულობის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას და დაჯარიმებას მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობის ათმაგი ოდენობით.

2. ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებისათვის საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობის განხორციელება -

გამოიწვევს აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობის განმხორციელებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის დაჯარიმებას შემოწირულობის ათმაგი ოდენობით.

3. მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებაში საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ კანონით აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობის მიღება ან/და შემოწირულობის თაობაზე ინფორმაციის დამალვა, გამოიწვევს ამ პირის დაჯარიმებას შემოწირულობის ათმაგი ოდენობით.

4. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიერ კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვევს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

5. კონტროლის პალატის მოთხოვნით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიერ ინფორმაციის მიწოდების კანონით დადგენილი ვალდებულების დარღვევა, გამოიწვევს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების დაჯარიმებას 5000 ლარით.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა შეიძლება პირს დაეკისროს შესაბამისი ქმედების ჩადენიდან ექვსი წლის განმავლობაში.

7. საქართველოს კონტროლის პალატა ამ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე მიმართავს სასამართლოს. ამ საქმეების მიმართ გამოიყენება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალწარმოების წესები.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

განმარტებითი ბარათი

„მოქალქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ევროპის საბჭოს ანტიკორუფციული ქვეკომიტეტი - GRECO[1] (სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ) აფასებს წევრი სახელმწიფოების ანტიკორუფციულ კანონმდებლობასა და პრაქტიკას. შეფასება ხორციელდება რაუნდებად, სხვადასხვა თემების მიხედვით, რასაც შედეგად მოსდევს რეკომენდაციების გამოცემა არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

ანტიკორუფციული რეფორმების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ სფეროში ევროსაბჭოს სტანდარტებთან დაახლოებას. მიმდინარე წლის მაისში საქართველომ აღსანიშნი წარმატებით დახურა გრეკოს შეფასების მეორე რაუნდი და გამოცემული 14 რეკომენდაციიდან 13 სრულად, ხოლო 1 ნაწილობრივ შეასრულა[2].

ანტიკორუფციული სფერო საკმაოდ მრავალმხრივია და იგი ასევე მოიცავს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების თემას. გრეკოს მესამე რაუნდის შეფასება, რომელიც მიმდინარე წლის ივლისში გამოქვეყნდა, ეხება კორუფციის კრიმინალიზაციისა და პარტიათა დაფინანსების საკითხებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს[3] სამდივნოს, პასუხისმგებელია გრეკოს რეკომენდაციების შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებაზე.

გრეკოს ანგარიშის გამოქვეყნების შემდგომ, სამდივნომ დაიწყო მუშაობა კორუფციის კრიმინალიზაციის დარგში გამოცემული რეკომენდაციების[4] შესასრულებლად. სისხლის სამართლის კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, საერთაშორისო და

[1] http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/default_EN.asp
[2] http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/evaluations/round2/GrecoRC2(2008)9_Add_Georgia_EN.pdf
[3] http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=647
[4] http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/evaluations/round3/GrecoEval3(2010)12_Georgia_One_EN.pdf

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, მომზადდა შესაბამისი კანონპროექტი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და მატერიალურ კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში, საშემოდგომო სესიის დასაწყისში გადაიგზავნა საქართველოს პარლამენტში.

ინკრიმინაციის ნაწილთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების შემდგომ, სამდივნომ დაიწყო მუშაობა პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების საკითხებზე. აღნიშნულ პროცესს წინ უსწრებდა ანტიკორუფციული საბჭოს წევრ არასამთავრობო ორგანიზაციებთან[5] შეხვედრა, სადაც გაიმართა გრეკოს მესამე რაუნდის რეკომენდაციების, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის ჩარჩო რეკომენდაციების,[6] ვენეციის კომისიის შესაბამისი სახელმძღვანელო წესებისა[7] და აგრეთვე პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების თაობაზე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშის[8] განხილვა.

კანონპროექტის მიღება განაპირობა ევროსაბჭოს, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების არსებულ რეგულაციებში არაერთი მნიშვნელოვანი ხარვეზის გამოვლენამ და საქართველოს მთავრობის სურვილმა, გამოესწორებინა აღნიშნული ნაკლოვანებები.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტი მიზნად ისახავს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის, ევროსაბჭოს რეკომენდაციების იმპლემენტაციის, აგრეთვე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინების გზით - პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების სისტემის დახვეწას, პოლიტიკური კორუფციის პრევენციას, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას, პოლიტიკური კონკურენციის ხელშეწყობას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

იურიდიულ პირთა მიერ შემოწირულობების განხორციელება

პოლიტიკური პარტიების დ აფინანსების ს აკითხებზე ევროსაბჭოს მ ინისტრთა კო მიტეტის ჩარჩო რეკომენდაციების მიხედვით, სახელმწიფოებმა:

[5] საია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
[6] http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/general/Rec(2003)4_EN.pdf
[7] http://www.venice.coe.int/docs/2000/CDL-PP(2000)006-e.pdf
[8] http://transparency.ge/post/report/politikuri-partiebis-dapinansebis-kvleva

ა) უნდა დაადგინონ შემოწირულობათა ლიმიტები;

ბ) უნდა აკრძალონ ანონიმური შემოწირულობები და უზრუნველყონ ფინანსების გამჭვირვალობა;

გ) უნდა აკრძალონ შემოწირულობა უცხო ქვეყნის დონორებისგან.

ვენეციის კომისიის „პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების სახელმძღვანელო წესებით"[9], შემოწირულობათა ზედა ზღვარის დადგენასთან ერთად, აღნიშნულია, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ განიხილონ იურიდიულ პირთა მხრიდან შემოწირულობების განხორციელების აკრძალვის საკითხი.

ზოგადად, იურიდიულ პირთა მიერ პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსება თავის თავში მოიცავს გარკვეულ კორუფციულ რისკებს, კერძოდ:

- ერთი პირის მიერ რამდენიმე იურიდიული პირის დაფუძნებით მარტივადაა შესაძლებელი შემოწირულობათა ლიმიტის გვერდის ავლა.
- იურიდიულ პირს, შუალედური იურიდიული პირების გავლით, შეუძლია ფლობდეს სხვა კომპანიის წილს, რაც ართულებს შემომწირველის რეალური ვინაობის დადგენასა და პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.
- ლიბერალური ეკონომიკის პირობებში, იურიდიული პირის წილის მფლობელი შესაძლოა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე ან საერთოდაც სხვა სახელმწიფო, რაც შესაძლებელს ხდის უცხო ქვეყნის ინტერვენციას შიდა პოლიტიკურ პროცესებში.

იურიდიული პირების მიერ შემოწირულობათა განხორციელების პრობლემაზე ხაზგასმულია აგრეთვე საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო-ს ანგარიშში[10] - „ბიზნესის მიერ პოლიტიკური პარტიის დაფინანსება ყოველთვის შეიცავს კორუფციის რისკს. ამიტომ აუცილებელია შემოწირულობების გაღების სწორი სამართლებრივი რეგულირება".

საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაცია - „საჭიროა კანონის ისეთი სახით ფორმულირება, რომ ერთმა და იმავე პირმა მის მფლობელობაში არსებული სხვადასხვა იურიდიული პირის საშუალებით ვერ შეძლოს ერთი პარტიისთვის 100 000 ლარზე მეტის გადარიცხვა."

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო მიიჩნევს, რომ აუცილებელია იურიდიულ პირთა მხრიდან შემოწირულობების მკაცრი

[9] http://www.venice.coe.int/docs/2000/CDL-PP(2000)006-e.pdf
[10] http://transparency.ge/post/report/politikuri-partiebis-dapinansebis-kvleva

რეგულირება, რათა თავიდან იქნას აცილებული შემოწირულობათა ლიმიტის გვერდის ავლისა და უცხოელი დონორების მიერ პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის შესაძლებლობა, აგრეთვე საჭიროა დაიზღვეს პოლიტიკური კორუფციის რისკი.

ევროპის საბჭოს ქვეყნების კანონმდებლობის ა ნალიზმა აჩ ვენა, რომ ს ახელმწიფოთა დიდ ნაწილს აკრძალული აქვს იურიდიული პირების მიერ შემოწირულობების განხორციელება. ამგვარი აკრძალვა მოქმედებს: ბალტიისპირეთში, პოლონეთში, საბერძნეთში, პორტუგალიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და სხვა ქვეყნებში.

ზემოაღნიშნული რისკების გათვალისწინებით, ანტიკორუფციული საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევს იურიდიული პირებისთვის დაფინანსების აკრძალვას, შესაბამისი ცვლილება შედის კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული პირი არ სარგებლობს პასიური ან აქტიური საარჩევნო ხმის უფლებით, აღნიშნული მხოლოდ სახელმწიფოს მოქალაქეთა პრეროგატივაა. ხოლო დაფინანსების სურვილის შემთხვევაში, თითოეული იურიდიული პირის უკან მდგომ საქართველოს მოქალაქეებს, კანონმდებლობის დაცვით, შეუძლიათ შემოწირულობების განხორციელება.

არამატერიალური შემოწირულობები და კრედიტები

გრეკოს რეკომენდაციების თანახმად, დასარეგულირებელია აგრეთვე პარტიის მიერ სესხის/კრედიტის მიღების საკითხი. ერთის მხრივ, პარტიის მიერ მიღებული კრედიტები საჭიროა სათანადოდ აღირიცხოს, ხოლო შეღავათიან პირობებში კრედიტის აღება აგრეთვე უნდა ჩაითვალოს შემოწირულობად. აგრეთვე კრედიტის მიღების უფლებამ არ უნდა მისცეს პარტიას შესაძლებლობა, გვერდი აუაროს შემოწირულობათა ზღვრულ ოდენობას.

ევროკავშირის ქვეყნებში განსხვავებულად რეგულირდება აღნიშნული საკითხი. ლატვიაში, მაგალითად, აკრძალულია პარტიის მიერ კრედიტის აღება, ხოლო პორტუგალია განეკუთვნება იმ სახელმწიფოთა ჯგუფს, სადაც კრედიტის აღება მხოლოდ საბანკო დაწესებულებათა მეშვეობითაა შესაძლებელი.

წინამდებარე კანონპროექტით შემოთავაზებულია რეგულაცია, რომლის თანახმადაც:

ა) კრედიტის აღება შესაძლებელი იქნება მხოლოდ კომერციული ბანკისგან;

ბ) დგინდება კრედიტის მაქსიმალური ზღვარი წელიწადში 100 000 ლარის ოდენობით;

გ) შეღავათიან პირობებში გაცემული კრედიტი ჩაითვლება შემოწირულობად, იმ ნაწილში, რაც განსხვავდება ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ძირითადი

პირობებისგან. ანალოგიური წესი გავრცელდება ფასდაკლებით (შეღავათიანი პირობებით) მიწოდებულ პროდუქციასა თუ მომსახურებაზე.

პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული იურიდიული პირები

ცალკე უნდა დარეგულირდეს პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული იურიდიული პირები, რომელთა მეშვეობითაც პოლიტიკურ პარტიას შეუძლია გვერდი აუაროს დაფინანსებაზე არსებულ შეზღუდვებს და პარტიის მიერ ხარჯების გაღებისა და დეკლარირების ნაცვლად, აღნიშნული განახორციელოს „მისი" ორგანიზაციის მეშვეობით.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, პოლიტიკური პარტიისთვის დადგენილი შეზღუდვები დაფინანსებისა და დეკლარირების ნაწილში უნდა გავრცელდეს ასევე იურიდიულ პირზე, თუ ის პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული პოლიტიკურ პარტიასთან, ან სხვაგვარად იმყოფება პოლიტიკური პარტიის კონტროლის ქვეშ.

კანონპროექტში წარმოდგენილია 26[1] მუხლი, რომელიც არეგულირებს აღიშნულ საკითხს, დამატებით განმარტებულია პარტიასთან დაკავშირების მნიშვნელობა, რაც გამოიხატება შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი იურიდიული პირის ხარჯები დაკავშირებულია პოლიტიკური პარტიის საქმიანობასა და მიზნებთან.

მოქალაქეთა მიერ შემოწირულობების განხორციელება

გრეკოს რეკომენდაციების თანახმად, აუცილებელია დარეგულირდეს მოქალაქეთა მიერ საწევროს გადახდის საკითხი, რათა არ მოხდეს შემოწირულობების დადგენილი ლიმიტისთვის გვერდის ავლა. ამისათვის საჭიროა განისაზღვროს საწევროს ზედა ზღვარი. ამ მიზნით, პროექტში შემოთავაზებულია წლიური საწევროს ლიმიტი 1200 ლარის ოდენობით.

აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ გამოირიცხოს სხვადასხვა მანიპულაციის გზით კანონით დადგენილ ოდენობაზე მეტი თანხის შეტანა პარტიის ანგარიშზე. მაგალითისთვის, თუ ერთი პირი შემოწირულობას განახორციელებს რამდენიმე პარტიის ანგარიშზე, რომლებიც საარჩევნოდ თავიანთ ფინანსებს გააერთიანებენ და დარეგისტრირდებიან ბლოკის სახით - მოხდება ლიმიტის გვერდის ავლა. ამიტომ მიზანშეწონილია, დადგინდეს შემოწირულობის ზედა ზღ ვარი არა ერთი პა რტიისათვის, არამედ თავად შემომწირველი მოქალაქისათვის, რომელსაც შეეძლება წლის განმავლობაში მისთვის სასურველ პარტიას (პარტიებს) შესწიროს 60000 ლარამდე თანხა, ან გაუწიოს პარტიას გარკვეული მომსახურება ამ ღირებულების ფარგლებში.

პარტიის ფინანსების აღრიცხვისა და გამჭვირვალობის უკეთ უზრუნველსაყოფად, კანონპროექტი ითვალისწინებს შემოწირულობათა განხორციელებას უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო დაწესებულების მეშვეობით.

გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირები

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, შეზღუდონ იურიდიულ პირთა მიერ შემოწირულობების განხორციელება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების სფეროსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და ამ პროცესში პოლიტიკური კორუფციის რისკის გათვალისწინება.

ვინაიდან წარმოდგენილი კანონპროექტით იურიდიულ პირებს არ ეძლევათ შემოწირულობების განხორციელების საშუალება, საჭიროა გავითვალისწინოთ იმ მოქალაქეთა საკითხი, რომელთა კუთვნილი ან წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოებიც ჩართულნი არიან სახელმწიფო შესყიდვების პროცესში.

გასული წლის დეკემბრიდან მოყოლებული საქართველოში მოქმედებს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა[11], ყველა ტენდერი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპების ს რული დაცვით, შექმნილია დავ ების გ ანხილვის ობიექ ტური მე ქანიზმი და უზრუნველყოფილია არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩართულობა აღნიშნულ პროცესში. თუმცა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია შესყიდვები განხორციელდეს გამარტივებული წესით, რაც, შესაბამისი კორუფციული რისკების გათვალისწინებით, საჭიროებს უფრო ფრთხილ რეგულირებას.

აქედან გამომდინარე, კანონპროექტით დადგენილია, რომ პოლიტიკურ პარტიისთვის შემოწირულობას ვერ განახორციელებს მოქალაქე, რომლის წლიური შემოსავლების 15-% მეტს შეადგენს მისთვის, ან მისი მონაწილეობით შექმნილი საწარმოსთვის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის შედეგად გადახდილი თანხები.

მონიტორინგის ორგანო

გრეკოს რეკომენდაციის თანახმად, (i) უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის არსებობა, პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო კამპანიების დაფინანსებაში კორუფციის წინააღმდეგ საერთო წესების შესახებ მე-4 რეკომენდაციის (2003) მე-14 მუხლის შესაბამისად; (ii) აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მანდატით და უფლებამოსილებით, ისევე როგორც შესაბამისი რესურსებით, რაც აუცილებელია

[11] https://tenders.procurement.gov.ge/public/#state_last_events

პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების ეფექტური კონტროლის, პოლიტიკური დაფინანსების რეგულაციების დარღვევების გამოძიებისა და საჭიროების შემთხვევაში, სანქციების დაწესებისთვის.

გრეკოს გარდა, სახელმწიფო დამოუკიდებელი მაკონტროლებლის შემოღების რეკომენდაცია ასახულია ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო პრინციპებში პარტიათა დაფინანსების შესახებ.

კანონპროექტით მონიტორინგის ორგანოდ შემოთავაზებულია საქ ართველოს კონტროლის პალატა, რომელსაც თამჯდომარეობს პარლამენტის მიერ 5 წლის ვადით არჩეული კონსტიტუციური თანამდებობის პირი, დამოუკიდებელი და ხელშეუვალი ფიგურა;

პარტიათა დაფინანსების მონიტორინგის ორგანოდ კონტროლის პალატის განსაზღვრა რეკომენდებულია აგრეთვე საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს მიერ.

კანონრპროექტის თანახმად:

საქართველოს კონტროლის პალატა უფლებამოსილია:

ა) შეიმუშავოს საფინანსო დეკლარაციის ფორმა;

ბ) განსაზღვროს პარტიათა დაფინანსების აუდიტის შესაბამისი სტანდარტი;

გ) შეამოწმოს საფინანსო დეკლარაციისა და საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის სისრულე, სისწორე და კანონიერება;

დ) უზრუნველყოს პარტიათა დაფინანსების გამჭვირვალობა;

ე) კონსულტაცია გაუწიოს პარტიათა დაფინანსების საკითხებზე დაინტერესებულ პირებს;

ვ) საჭიროების შემთხვევაში პარტიებიდან, ადმინისტრაციული ორგანოებიდან და კომერციული ბანკებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია პარტიის ფინანსებთან დაკავშირებით;

ზ) პარტიათა დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევაზე მოახდინოს რეაგირება და გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული სანქციები;

თ) დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში მიმართოს პროკურატურის ორგანოებს.

ამ ცვლილებით, მონიტორინგის ორგანოს ჩამოყალიბების გარდა, პრაქტიკულად შესრულდება გრეკოს დამატებით ორი რეკომენდაცია, რომლებიც ეხება დეკლარაციის ერთიანი ფორმის შემუშავებას, აგრეთვე აუდიტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვას.

კონტროლის პალატის იდენტური ორგანიზაცია პარტიათა დაფინანსების მონიტორინგს ახორციელებს ასევე ფინეთსა და ბელგიაში.

სხვა ცვლილებები

კანონპროექტი დამატებით მოიცავს აგრეთვე რეგულაციებს, რომლებიც მიმართულია წინააღმდეგობრივი ნორმების აღმოფხვრისაკენ, დარღვევებზე რეაგირების მექანიზმების გაწერისა და სხვა შედარებით ტექნიკური საკითხების მოწესრიგებისკენ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

სახელმწიფო ბიუჯეტი

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღების შემდგომ შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს საქართველოს კონტროლის პალატის დაფინანსების გაზრდა, რათა ამ უწყებამ დაუბრკოლებლად შეძლოს მასზე დაკისრებული ახალი ფუნქციის შესრულება.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფო არ იღებს რაიმე ახალ ფინანსურ ვალდებულებას

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით საქართველოს კანონმდებლობა პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების ნაწილში სრულ შესაბამისობაში მოვა ევროპის საბჭოს, აგრეთვე ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ დადგენილ სტანდარტებთან და ხელს შეუწყობს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, აგრეთვე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრი სხვა ორგანიზაციები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრები: პავლე კუბლაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი და აკაკი მინაშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: პავლე კუბლაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი და აკაკი მინაშვილი.

შენიშვნების ფურცელი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე ორგანული კანონის პროექტზე

ავტორი	შენიშვნა	შედეგი
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი კანონპროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „5[1]. პარტიას ეკრძალება - კანდიდატის, წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ან არამატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (გარდა პარტიის კამპანიის აქსესუარებისა - მაისურები, კეპები, ქუდები, დროშები და სხვა მსგავსი ნივთები), შეღავათიან ფასად საქონლის ან მომსახურების მიყიდვა ან მიწოდება, საბაზრო ფასზე მეტად საქონლის ან მომსახურების შესყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა) მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების, მატერიალურ ან არამეტირიალურ ფასეულობათა, აგრეთვე მომსახურების (მათ შორის ფიქტიური შრომითი ან სხვაგვარი ურთიერთობების დამყარების), მიწოდებით ან ასეთის დაპირებით (გარდა დაპირებისა, რომელიც უკავშირდება საბიუჯეტო რესურსების სამომავლო განაწილებას).“.	გათვალისწინებულია
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	წარმოდგენილი კანონპროექტის პირველი მუხლის მე–4 პუნტქტით წარმოდგენილი 25[1] მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე–3 პუნქტი: 1. პარტიის საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ოდენობის 10%-ს“.	გათვალისწინებულია
	26[1] მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ბ“ ქვეპუნქტი შემდეგი	

	რედაქციით: გ) პირი, რომელსაც აქვს განცხადებული პოლიტიკური მიზნები და ამოცანები, ასევე მისი ოჯახის წევრები, აგრეთვე მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირი.	
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	კანონპროექტს დაემატოს 33^1 –ე მუხლი შემდეგი რედქციით: **„მუხლი 33^1.** ბათილია გარიგება, რომელიც მიზნად ისახავს ამ თავით დადგენილი წესებისა და შეზღუდვების თავის არიდებას. ამგვარი გარიგების საფუძველზე გაცემული და მიღებული ქონება მიემართება სახელმწიფოს საკუთრებაში.“	გათვალისწინებულია
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	ვენეციის კომისისს დასკვნის მოთხოვნათა შესაბამისად დაემატოს მუხლი, რომელიც გაითვალისწინებს სანქციებს წარმოდგენილი კანონპროექტით დადგენილი ნორმების დარღვევისათვის	გათვალისწინებულია

საქართველოს პარლამენტი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

თბილისი, 0108, რუსთაველის გამზ. 8.
რელ:(995 32) 228 13 88
ფაქსი:(995 32) 292 15 63
ელ ფოსტა: humanrights@parliament.ge

№ 9208
19 12 2011 წ.

საქართველოს პარლამენტის
იურიდიულ საკითხთა კომიტეტის
თავმჯდომარეს ბატონ პავლე კუბლაშვილს

საქართველოს პარლამენტის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრების პ. კუბლაშვილის, ჩ. თაქთაქიშვილისა და ა. მინაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე" (07-3/537; 12.12.2011)

ა.წ. 19 დეკემბრის სხდომაზე კომიტეტმა განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების პ. კუბლაშვილის, ჩ. თაქთაქიშვილისა და ა. მინაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე" (07-3/537; 12.12.2011).

კომიტეტი მხარს უჭერს კანონპროექტის ძირითად პრინციპებს და მიზანშეწონილად მიიჩნევს მის პირველი მოსმენით განხილვას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

ლაშა თორდია

კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტი

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

0108, თბილისი,
რუსთაველის გამზ. 8
ტელ/ფაქსი: (995 32) 228 12 07
(995 32) 228 16 38
ელ. ფოსტა: financecom@parliament.ge

№ 9197
19 12 2011 წ.

საქართველოს პარლამენტის
იურიდიულ საკითხთა კომიტეტს


ასლი: საქართველოს პარლამენტის
საორგანიზაციო დეპარტამენტს

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 2011 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების პ. კუბლაშვილის, ჩ. თაქთაქიშვილის და ა. მინაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტი: "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" (№07-3/537; 12.12.2011) და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვა.

ზურაბ მელიქიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე



საქართველოს პარლამენტის ბიუროს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№218/4

16 დეკემბერი, 2011 წელი.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 160-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების: პავლე კუბლაშვილის, ჩიორა თაქთაქიშვილისა და აკაკი მინაშვილის საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ კანონპროექტზე თავიანთი შენიშვნები და წინადადებები უმოკლეს ვადაში წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — დავით ბაქრაძე